საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

15/08/2025

MES 2 25 0000986827

გადაწყვეტილება

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 მაისის №549079 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 1.2 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია შემდეგი ფორმულირებით გადაიტანა რჩევებში:

„სასურველია, საწავლო გეგმის რუკებმა აჩვენოს, თუ როგორ ხდება თითოეული სწავლის შედეგის დანერგვა (გაცნობა), განვითარება (გაღრმავება) და ათვისება (განმტკიცება) სტუდენტის მიერ კურსების გავლის პარალელურად.“

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

ბ) საბჭომ 1.3 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია შემდეგი ფორმულირებით გადაიტანა რჩევებში:

„სასურველია დაწესებულებამ დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. რეკომენდებულია, ერთიანი და უნიფიცირებული კრიტერიუმების გამოყენების ნაცვლად, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პირდაპირი, კონტექსტზე მორგებული სამიზნე ნიშნულები, რომლებიც ითვალისწინებს კურსების შინაარსს, აკადემიურ დონესა და სირთულეს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგებთან შესაბამისობას.“

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

გ) საბჭომ 1.4 კომპონენტში არსებული შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია არ გაიზიარა:

„რეკომენდებულია ორივე პროგრამაში გადაიხედოს ყველა კურსის წინაპირობები, მკაფიოდ და ლოგიკურად განისაზღვროს და სტუდენტებისთვის გასაგებად იყოს ფორმულირებული როგორც პროგრამის დოკუმენტებში, ასევე აკადემიური კონსულტაციების დროს.“

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

დ) საბჭომ 1.5 კომპონენტში არსებული შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია არ გაიზიარა:

„რეკომენდებულია, ინსტიტუციამ გადახედოს ყველა კურსის შინაარსსა და შეფასების მეთოდებს, განსაკუთრებით კვლევის მეთოდებსა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული კურსების შემთხვევაში. ეს ხელს შეუწყობს მათ შესაბამისობას თანამედროვე სტანდარტებთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას“.
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
ე) საბჭომ 2.1 კომპონენტში არსებული შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია არ გაიზიარა:
„რეკომენდებულია, პროგრამამ შეიმუშაოს და საჯაროდ გაავრცელოს შიდა გამოცდის სტრუქტურის დეტალური აღწერა. ეს უნდა მოიცავს შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებს, შეფასების პროცესს და ქულების მინიჭების წესს. ეს უზრუნველყოფს მიღების პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და თანმიმდევრულობა.“
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა გამოიწვია მეორე სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
ვ) საბჭომ 2.2 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია შემდეგი ფორმულირებით გადაიტანა რჩევებში:
„სასურველია უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების მოქმედი ინსტრუქცია, სადაც მკაფიოდ განისაზღვრება მინიმალური წყაროების რაოდენობა და APA-ს ციტირების სტილის სავალდებულო ვერსია. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტები უზრუნველყოს დამატებითი ტრენინგებითა და რესურსებით, რათა მათ სრულად დაიცვან ციტირების შესაბამისი სტანდარტები აკადემიურ საქმიანობაში.“
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა გამოიწვია მეორე სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
ზ) საბჭომ 2.2 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია შემდეგი ფორმულირებით გადაიტანა რჩევებში:
„სასურველია, რომ უნივერსიტეტმა დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ცენტრებთან დადებული მემორანდუმები პერიოდულად გადაიხედოს სტუდენტთა რაოდენობის ნაწილში“.
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა გამოიწვია მეორე სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
თ) საბჭომ 2.3 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია შემდეგი ფორმულირებით გადაიტანა რჩევებში:
„სასურველია კლასტერში შემავალ პროგრამებში ინტეგრირდეს ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლების მეთოდები. ეს გულისხმობს ციფრული ინსტრუმენტებისა და პლატფორმების გამოყენებას ლექციებზე, ჯგუფურ მუშაობაში, პრაქტიკულ დავალებებსა და კვლევით მეთოდებში, რათა მასწავლებლობის კანდიდატები დაეუფლონ ტექნოლოგიებთან ინტეგრირებულ პედაგოგიკას და მზად იყვნენ თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოში მოღვაწეობისთვის.“
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა გამოიწვია მეორე სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

ი) საბჭომ 2.4 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაციები შემდეგი ფორმულირებით გადაიტანა რჩევებში:
„სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართ საკუთარ მიდგომას“, „სასურველია, ორივე პროგრამამ კომპლექსურად გადახედოს და გააუმჯობესოს შეფასების კრიტერიუმები კურსისთვის „კვლევის მეთოდები განათლებაში და პრაქტიკის კვლევა“. კერძოდ, რეკომენდებულია შესრულებაზე დაფუძნებული შეფასებებისა და კვლევითი პორტფოლიოს დანერგვა, რათა უფრო ზუსტად შეფასდეს სტუდენტების მიერ კვლევის განხორციელების კომპეტენციები და მაქსიმალურად იქნას მიღწეული სწავლის შედეგები.“
აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 2.4 კომპონენტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 01 აგვისტომდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 15 აგვისტოს სხდომის №986821 ოქმის № 04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს და განაახლოს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ინსტრუქციები. რეკომენდებულია, ხელმძღვანელის შეფასება ჩაითვალოს როგორც ფორმატიული უკუკავშირი, რომელიც ხელს უწყობს საბოლოო ქულის ფორმირებას და არა როგორც ბარიერი, რომელიც ხელს შეუშლის სტუდენტის საბოლოო შეფასებას;

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ ჩამოყალიბდეს მიზანმიმართული და კონცენტრირებული მიდგომა, როგორც პროგრამის, ისე ინსტიტუციურ დონეზე. ეს ხელს შეუწყობს ხარვეზების მიზანმიმართულად გამოვლენას, განვითარების ტენდენციების დანერგვას და ამ ცვლილებების პრაქტიკაში რეალიზებას.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 01 აგვისტოდან.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე